მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

2017 წლის 11 აგვისტოს თამაზ მუმლაძემ (დაბ.1952 წლის 2 იანვარს პ/ნ 01025006339), ი.ბ.ა. "დიდი დიღომი 2005"-ის თავმჯდომარემ (ი.ბ.ა. "დიდი დიღომი 2005"-ის დამფუძნებელთა კრების ოქმი №19 დამოწმებული 21.04.2012 წ. ნოტარიუს ქეთევან ძლიერიშვილის მიერ, რეესტრით №120409001) წინამდებარე მინდობილობით მერაბ ჯანელიძეს (დაბ.1941 წლის 29 აგვისტოს პ/ნ 01024011208) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები: იყოს ამხანაგობის თავმჯდომარის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებაში, მათ შორის ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რათა აღნიშნული ამხანაგობის სახელით აწარმოოს საქმეები ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ ქონებასტან დაკავშირებით. ჩააბაროს განცხადებები და მიიღოს საჭირო ცნობები თბილისის მერიაში, მერიის სამსახურებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. შეიტანოს ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში განაცხადი და მასალები კორექტირებული არქიტექტორული პროექტის შეთანხმებაზე და მშენებლობის ახალი სამშენებლო ნებართვის მიღებაზე.

ინდობილობა გაცემულია 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობის გამცემი

თამაზ მუმლაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160895269
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	11.08.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	თამარ ბაქრაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი დ/დიღომში ი.პეტრიწის ქ. N 16
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591 701 115; 322 43 28 70;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	34028384331216

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის თვრამეტ აგვისტოს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დ/დიღომი, ი.პეტრიწის ქ. № 16, მომმართა მოქ. თამაზ მუმლაძემ. მან წარმომიდგინა მინდობილობა (ორ ეგზემპლარად) და განაცხადა, რომ სურს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად თამაზ მუმლაძემ (დაბ. 02.01.1952 წელს, [illegible], პირადი №01025006339) მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე ნოტარიუსმა, განვუმარტე მას რომ პასუხს არ ვაგებ მინდობილობის შინაარსის სამართლებლივ შედეგებზე და ვამოწმებ მხოლოდ მხარის ხელმოწერის ნამდვილობას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე კრების ოქმს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის გადასახდელი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა – 4 (ოთხი) ლარი (ორ ეგზემპლარზე დაუმოწმდა ორი ხელმოწერის ნამდვილობა); 0.72 (სამოცდათორმეტი) თეთრი – მუხლი 169-ე, თანახმად „საქართველოს საგადასახადო კოდექსისა", აგრეთვე 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა.

ნოტარიუსი თამარ ბაქრაძე/

